საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№37 (6583) 23 სექტემბერი ხუთშაბათი 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეჩხუმელებო, სამშობლო საფრთხეშია!

საქართველოში შექმნილია უმძიმესი მდგომარეობა. დაარღვიეს რა 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულება, აფხაზი სეპარატისტები კვლავ მასირებულად ბომბავენ სოხუმს, ოჩამჩირეს. კვლავ იღვრება მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი. სოხუმი ამჟამად ბლოკადაშია და სასწორზეა მისი ყოფნა-არყოფნის ბედი. ამასთან დაკავშირებით გამოცხადებულია სრულიად საქართველოს მოსახლეობის მობილიზაცია და საბრძოლო მზადყოფნა იმ მოქალაქეებისა, ვისაც იარაღის ხელში დაჭერა შეუძლია. ყველა უნდა დაიძრას სოხუმის დასაცავად და გვერდით დაუდგეს თავის თანამოძმეებს.

ცაგერის რაიონული საკრებულო და სამხედრო კომისარიატი მოგმართავთ 22-დან 50 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცს — დაუყოვნებლივ გამოცხადდით რაიონული საკრებულოს გამგეობის შენობაში, სადაც უნდა მოხდეს ჯგუფების დაკომპლექტება და აფხაზეთში გასამგზავრებლად ფორმირება. ვისაც საშუალება გააჩნია, თან იქონიოს პირადი საბრძოლო იარაღი, ალჭურვილობა და 2 დღის სურსათი.

რაიონის სამხედრო კომისრის ბრძანებით რაიონში მცხოვრები ვეტერანი ავღანელები და თადარიგის ოფიცრები დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბონ რაიონის სამხედრო კომისარიატში. სამამულო ომის ვეტერანებს ვთხოვთ გაგვიწიონ თანადგომა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

რაიონის სოფლის მოსახლეობამ ფრონტზე გასაგზავნი სურსათი და შესაძლებლობის მიხედვით გაღებული თანხა მიიტანონ შესაბამის საკრებულოებში.

**ცაგერის რაიონის საკრებულოს გამგეობა.**

# ყველა პატრიოტის ვალია

მძიმე პოლიტიკური და სამხედრო სიტუაცია შექმნა დღეს ჩვენს რესპუბლიკაში. შინაური თუ გარეშე არ ინდობს ქვეყანას, ცდილობს მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. სოჭში ხელმოწერილი სამმხრივი ხელშეკრულების შედეგად დროებით შეწყდა ცეცხლი აფხაზეთში. ქართულმა მხარემ ჯარები და ტექნიკა გამოიყვანა აფხაზეთიდან, რითაც ისარგებლეს აფხაზმა ექსტრემისტებმა და მოულოდნელად კვლავ გააჩაღეს ბრძოლები სოხუმისა და ოჩამჩირის მისადგომებთან.

ამ მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, რითაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში სოფლებსა და დასახლებებში, წარმოება-დაწესებულებებში იმართება მშრომელთა შეკრებები, ადამიანები თავისი სურვილით ეწერებიან აფხაზეთში წამსვლელთა რიგებში, აგროვებენ სურსათ-სანოვაგეს ფრონტისათვის, ფულად თანხებს სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად.

18 სექტემბერს რაიონული საკრებულოს სააქტო დარბაზში გაიმართა რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების აქტივის შეკრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა კოპალიანმა.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ჩიქოვანი, საქალაქო საკრებულოს გამგებელი გურამ ყურაშვილი, კულტურის განყოფილების გამგე ომარ ჭაბუკიანი, დაზღვევის სახელმწიფო ფირმის დირექტორი ზაურ პენიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის წევრი დავით მანაგაძე და სხვები.

შეკრების მონაწილეებმა დაგმეს აფხაზ ექსტრემისტთა მოქმედება, მიიღეს მიმართვა რაიონის ყველა მოქალაქისადმი.

შეკრებაზე გადაწყდა, რომ რაიონის ყველა მცხოვრების პატრიოტული მოვალეობაა, რაც კი შეუძლია, ეს იქნება პროდუქტები, ფულადი თანხები, იარაღი თუ სხვა შეაგროვოს და გააგზავნოს აფხაზეთში.

იქვე საკრებულოს დერეფანში ქალთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო პირადი დანაზოგიდან თუ წარმოება-დაწესებულებებიდან ფულადი თანხების მიღება სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად, ხოლო რაიონული საკრებულოს და სამხედრო კომისარიატის მუშაკები აწარმოებდნენ აფხაზეთში წამსვლელ მოხალისეთა შერჩევას. უკვე იმავე დღის 19 საათზე 19 მოხალისე სამხედრო კომისარიატის მუშაკთა ხელმძღვანელობით ორგანიზებულად გაემგზავრა აფხაზეთისაკენ.

კვლავ გრძელდება რეზერვისტთა და მოხალისეთა ჩაწერა, პროდუქტების, ფულადი თანხების შეგროვება.

# საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების ნორმალიზაციის, შეიარაღებული ბანდებისა და უკანონო ფორმირებების თარეშის, აღკვეთის, მასობრივი ეპიდემიების თავიდან აცილების, მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების რეჟიმის დამკვიდრების მიზნით, „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონისა და „საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე გამოცხადდეს საგანგებო წესები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1993 წლის 20 სექტემბრის 00 საათიდან ორი თვის ვადით.

2 საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისა და სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალოს სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენა საშტატო იარაღით და მათი უმწყობროდ მიმოსვლა დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე იარაღისა და საბრძოლო მასალების გადატანა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის უფროსის, ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების უნებართვოდ, თუ ეს დაკავშირებული არ იქნება კონკრეტულ ტერიტორიაზე სამხედრო ოპერატიულ ამოცანებთან.

3. რესპუბლიკაში კრიმინოგენური ვითარების გამოსასწორებლად აიკრძალოს უნებართვოდ სამხედრო ფორმისა და სამხედრო ეკიპირების სავნების ტარება, შეჩერდეს მოქალაქეებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის გაფორმება.

4 საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროსთან, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურთან და პროკურატურასთან ერთად უზრუნველყოს:

— დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ძებნილი მოქალაქეების დაკავება;

— საპატიმრო დაწესებულებებიდან გაქცეული პირების მოძებნა და ამ დაწესებულებებში დაბრუნება;

— მოსახლეობისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისთვის უნებართვო იარაღის ჩამორთმევა და იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ვინც წინაღმდეგობას გასწევს იარაღის ჩამორთმევისას;

— შეიარაღებული ბანდებისთვის იარაღის ჩამორთმევა და ბანდების წევრთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, კანონით გათვალისწინებული სხვა უმკაცრესი ზომების მიღება, ყველა შემთხვევაში, როგორც წესი მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიების სრული დაცვით;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა, თავდაცვის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა სასწრაფოდ წარმოუდგინონ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს აღნიშნულ ღონისძიებათა დაწვრილებითი გეგმა და გრაფიკი.

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, სახელმწიფო და კერძო საწარმოების, მნიშვნელოვანი მაგისტრალებისა და სხვა ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების და მასობრივ არეულობათა თავიდან აცილების მიზნით, დროებით აიკრძალოს მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვებისა და სხვა აქციების მოწყობა.

6. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ კონტროლი პრესისა და ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესრულებისადმი.

7. კონკრეტულ გარემოებათა კვალობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) შემოიღონ დასახლებულ პუნქტებში მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი; შეამოწმონ დოკუმენტები საკონტროლო პუნქტებისა და მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში; მოაწყონ რეიდები, პირადი გასინჯვა რეჟიმის დამრღვევი და სხვა საეჭვო პირების გამოვლენის მიზნით;

ბ) შექმნან მოხალისეთა ჯგუფები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ერთობლივ პატრულირებაში მონაწილეობის მისაღებად;

გ) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დადგენილი ვადით გარკვეული ადგილის დატოვება და დააკავონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი;

დ) შეზღუდონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის საათები;

ე) შემოიღონ კარანტინი და განახორციელონ სხვა სავალდებულო სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ

(დასასრული)

ვ) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობებიდან მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები;

ზ) აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

თ) დაადგინონ მათთვის დაქვემდებარებული ცალკეული საწარმოების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, საწარმოებისათვის ზარალის მიუყენებლად შეიტანონ ცვლილებები მათი პროდუქციის რეალიზაციის პირობებსა და წესში;

ი) გააუქმონ ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება საგანგებო რეჟიმის პირობებს.

8. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს რესპუბლიკის დასახლებული პუნქტების, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებისა და აეროპორტების, სამედიცინო და სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების დაცვის საგანგებო ღონისძიებების და ერთობლივი სადღეღამისო პატრულირების გეგმა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონალური მართვის სამსახურმა, ამავე ვადაში მოამზადოს წინადადებები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ერთობლივ პატრულირებაში მოხალისე მოქალაქეთა მონაწილეობის თაობაზე.

9. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარემ ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ინფორმაცია რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მყოფი ლტოლვილების და ხიზნების რაოდენობის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების, შრომითი მოწყობის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების მიმდინარეობის შესახებ და კონკრეტული წინადადებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

10. საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ინფორმაცია ტურისტული ჯგუფების უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას და რესპუბლიკის ტურისტულ ბაზებში და გამშვებ პუნქტებში სანიტარული მოთხოვნების დაცვის შესახებ, აგრეთვე წინადადებები ცალკეული ტურისტული მარშრუტების დროებით გაუქმების თაობაზე.

11. საგანგებო წესების დაცვის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.

საგანგებო წესებით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების [illegible] შესრულების კონტროლის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შეიქმნას დროებითი კომიტეტი.

ადგილებზე საგანგებო წესების დაცვის ორგანიზაციისათვის რესპუბლიკის რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას შტაბები შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გამგებლების (მერების), პროკურორების, შინაგან საქმეთა სამმართველოების (განყოფილებების) უფროსების, სამხედრო კომისრების, გარნიზონების უფროსების საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შესაბამისი ქვედანაყოფების უფროსების შემადგენლობით. შტაბების ხელმძღვანელებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭო.

12. საგანგებო წესების მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

13. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადება.

14. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დაადასტუროს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადება.

**ე. შევარდნაძე.**

თბილისი, 1993 წლის 14 სექტემბერი.

---

სამამულო

## აფხაზეთში ქართულ მიწას ლეჩხუმელთა ოცეულიც იცავს

დღეს სოხუმისა და ოჩამჩირის მისადგომებთან ქართულ სინდისსა და ღირსებას, ტერიტორიულ მთლიანობას იცავენ ჩვენი მეომრები, იცავენ შიშველი ხელებით, მაგრამ მამულის სიყვარულის უდიდესი ძალით, უდიდესი რწმენით. ასეთი სისხლიანი დღეები საქართველოს ისტორიაში იშვიათად თუ ყოფილა. ფაქტიურად უმოკავშირეო ქვეყანა ებრძვის არა აფხაზ სეპარატისტებს, არამედ უზარმაზარ რუსულ იმპერიას, და მაინც არ დაეცემა საქართველო. არ აიჩოქებს ერი ქართველი, ასე ყოფილა და ასეა ოდესაც: განსაცდელის ჟამს გვჩვევია გამოფხიზლება, გონის მოკრება, ერთ მუშტად შეკვრა, გამთლიანება.

მთელი საქართველო უყოყმანოდ მიეშურება აფხაზეთში სამშობლოს დასაცავად, მათ შორისაა ლეჩხუმიც. შაბათსვე რაიონის საკრებულოში, სამხედრო კომისარიატში დილიდანვე მოდიოდნენ ადამიანები — ვინ ფრონტზე გაგზავნას ითხოვდა, ვის თანხები, პროდუქტები შემოჰქონდა მეომრების დასახმარებლად. რაიონულმა საკრებულომ და სამხედრო კომისარიატმა ორგანიზება გაუკეთეს ფრონტზე წასასვლელ მოხალისეებს. დაკომპლექტდა ერთი ჯგუფი და იმ საღამოსვე გაემგზავრა. აი, ისინიც:

ზაზა ჩიქოვანი,
მუხრან ბერიძე
ზაალ ყურაშვილი
მირზა ჩაკვეტაძე
ოლეგ გიორგობიანი
გურამ ყურაშვილი
თენგიზ ქაბუკიანი
კობა ქომეთიანი
ბონდო სალინაძე
პორფილე ჩხეტიანი
კობა კოპალიანი
დათო ბენდელიანი
სოსო კოპალიანი
თენგიზ მდივანი
რაულ ბახსოლიანი
მევლუდ თოდიძე
ბონდო კოპალიანი
კობა შკუბულიანი
თემურ კოპალიანი

ადვილი არ იყო ამ ნაბიჯის გადადგმა მაშინ, როცა ბევრი რამ გეჩხირება უკან: არეული დრო და ოჯახის უსაფრთხოების გარანტიის არ არსებობა, საკუთარი თუ ოჯახის წევრის ავადმყოფობა, მშობლებისა და ახლობლების ხვეწნა-მუდარა, ბევრ მათგანს მგონი ხელშიც არ სჭერია თოფ-იარაღი. მათ შორის საიოდე მათგანს თუ უნახავს ნამდვილი ომი და მდგარა ყველა მისი საშინელების წინაშე. უიარაღონი წავიდნენ. მათნაირები უკან გააბრუნეს ქუთაისის მერიიდან. ჩვენი ბიჭების სიკეთე კი იარაღის აშოვნინა მათთვის სამხედროებს. დღეს ოჩამჩირეშია ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის რაზმის ლეჩხუმური ოცეული.

---

ზურგი — ფრონტს

## შემოწირულობათა მიღება გრძელდება

აფხაზ სეპარატისტთა მოულოდნელმა მუხანათურ თავდასხმამ შეძრა სრულიად საქართველო, ქართველობა და საქართველოში მცხოვრები ყველა მოაზროვნე.

ხალხის ნაკადი დაიძრა ცაგერის რაიონულ საკრებულოსკენ. მთელი შაბათ კვირა ყოველგვარი მოწოდების გარეშე საკუთარი გულის კარნახით პატრიოტული გრძნობით მოდიოდნენ ადამიანები. ზოგმა მათგანმა, მგონი უკანასკნელი გროში და ლუკმა გაიღო ფრონტისათვის, აფხაზეთში მეომარი მებრძოლებისათვის.

საკრებულოში პირველი ცრემლმორეული ასია ლეფტეროვა მოვიდა. მან თავდაცვის ფონდში 10000 კუპონი და 1000 მანეთი დადო, მეომრებისათვის კი 3 კილოგრამი ლობიო, 1 კილოგრამი შაქარი და 1 კოლოფი ჩაი მოიტანა.

ქვედა ცაგერელმა ციცო და იური ბრეგვაძეებმა ერთადერთი ვაჟი რამაზი სამშობლოს დასაცავად აფხაზეთში კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე გაგზავნეს. ციცო ერთ-ერთი პირველი მოვიდა საკრებულოში და 5000 კუპონი მოიტანა თავდაცვის ფონდში გადასარიცხად.

საკრებულოში დიდძალი ხალხი მოგროვდა. მამაშვილმა გოგიტა და რაჟიკო ლიპარტელიანებმა 10000 კუპონი ჩარიცხეს თავდაცვის ფონდში. ოლეგ გიორგობიანმა 30000 კუპონი გაიღო და თავად საომრად გაემგზავრა, ბათო ყურაშვილმა 100000 კუპონი მოიტანა თავდაცვის ფონდში, ბახვა სალინაძემ 60000 ათასი, გელა ბუდუს ძე ომანაძემ — 50000 კუპონი (მანვე თავისი ავტობუსით გადაიყვანა მოხალისეთა ჯგუფი ქუთაისამდე) ზურაბ ხეცურიანმა — 40000 კუპონი, თავდაცვის ფონდის ანგარიშზე სოლიდური თანხები გაიღეს აგრეთვე მურმან თოთაძემ, თამაზ ახვლედიანმა, მელსი ყურაშვილმა, თეგული სილაგაძემ, ჯოკია ირემაძემ, ზაურ ახვლედიანმა, სამამულო ომის ვეტერანებმა იოსებ რატიანმა, გალაქტიონ ლიპარტელიანმა და მრავალმა სხვამ. მათი რიცხვი იმდენად დიდია, ჩვენდა საბედნიეროდ, რომ ყველას ჩამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

„სამტრესტის“ კოლექტივმა 150 ათასი კუპონი შეიტანა თავდაცვის ფონდში.

ცაგერის აგრომრეწვბანკში გაიხსნა აფხაზეთის ომში გაწვეულ რეზერვისტთა და ამ ომიდან დაბრუნებულ ინვალიდთა დახმარების ფონდი, რომლის ანგარიშის ნომერია 70015.

---

# ესაა და ეს...

რაიონული საკრებულოს გამგეობიდან გვაცნობეს, რომ 1993 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით რაიონში შემოზიდული და მოსახლეობაში რეალიზებულია სასურსათო საქონელი.

სახელმწიფო ფონდით —

პურის ფქვილი 1313 ტონა (I კვარტალში — 494 ტონა, II კვარტალში — 471 ტონა, III კვარტალში — 348 ტონა).

შაქარი 88 ტონა (I კვარტალში 34 ტონა, II კვარტალში 53,4 ტონა).

ზეთი 10,9 ტონა (შემოტანილია II კვარტალში).

მარგარინი 1,5 ტონა (შემოტანილია II კვარტალში).

ჰუმანიტარული დახმარების არხებით —

პურის ფქვილი 45,5 ტონა (მოსახლეობისათვის 40,5 ტონა, ლტოლვილებისათვის 5 ტონა) ამას გარდა ლტოლვილებისთვის შემოიზიდა და რეალიზებულია 2,8 ტონა ბრინჯი და 4,4 ტონა კარტოფილი.

სხვა სახის სასურსათო და პირველადი მოთხოვნილების საქონელი რაიონში არ შემოსულა.

შენიშვნა: მონაცემები იბეჭდება პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია — 91“ — ის ცაგერის ორგანიზაციის მოთხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაიონულ საკრებულოში

# საშემოდგომო გაწვევისათვის

ცაგერის რაიონის საკრებულოს გამგეობამ განიხილა საკითხი — 1993 წლის წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

გამგეობაზე აღინიშნა, რომ 1993 წლის გაზაფხულზე წვევამდელთა არმიაში გაწვევა რესპუბლიკურ დონესთან შედარებით რაიონში დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, გეგმადავალებით გათვალისწინებული 35 ახალგაზრდიდან გაწვეულ იქნა 26. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თვით რაიონის სამხედრო კომისარიატს (კომისარი კ. კოპალიანი), რომლის აქტიური და მიზანმიმართული მუშაობით მიღწეულ იქნა აღნიშნული შედეგები. ცალკეული საკრებულოების მიხედვით კარგად იმუშავეს ქვედა ცაგერის, ლასურიაშის, ორბელისა და ზუბის სასოფლო საკრებულოებმა, რასაც ვერ ვიტყვით ალპანის, უსახელოს' ლვირიშის, ტვიშის და აღვის სასოფლო საკრებულოებზე, რომელთა ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს ვერცერთი წვევამდელის გაწვევა. მეტიც' ამ საკრებულოთა ტერიტორიაზე მცხოვრებ წვევამდელთა აბსოლუტური უმრავლესობა საექიმო კომისიაზეც არ გამოცხადდა მაშინ, როცა ალპანის და ლვირიშის საკრებულოებში სამხედრო მაგიდის უფროსებიც არიან დანიშნული.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 სექტემბრის დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის და სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა შეიარაღებული ძალებიდან დათხოვის შესახებ“ მაღალორგანიზებულ დონეზე განხორციელებისათვის საკრებულოს გამგეობამ რაიონის სოფლებისა და ქალაქის საკრებულოებს, წარმოება-დაწესებულებების, სასწავლებლების ხელმძღვანელებს დაავალა განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გაიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევ ახალგაზრდებთან მუშაობის ახალი, კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, გააქტიურონ საქმიანობა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კანონის მტკიცედ დასაცავად.

1993 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში წვევამდელთა სამხედრო არმიაში გაწვევისადმი გამოჩენილი არასათანადო პასუხისმგებლობისათვის ალპანის, უსახელოს' ლვირიშის, ტვიშის და აღვის საკრებულოების გამგებლებს (თ. ბურჯალიანი' ა. თვარაძე' ი. ხეცურიანი, შ. გოდოლაძე' ჯ. ყურაშვილი) გამოეცხადოთ საყვედური.

1994 წლის საშტატო განრიგის შედგენის დროს გადაისინჯოს ალპანისა და ლვირიშის საკრებულოებში სამხედრო მაგიდების არსებობის მიზანშეწონილობა.

რაიონის სამხედრო კომისარიატს დაევალა მკაცრი რეაგირება მოახდინოს კომისარიატში ცალკეულ წვევამდელთა გამოუცხადებლობის ყოველ ფაქტზე.

რაიონის მთავარ ექიმს (მ. თოთაძე) დაევალა ყოველი ღონე იხმაროს, რათა წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებაში არ იქნას დაშვებული შეცდომის არც ერთი შემთხვევა;

გამწვევი საექიმო კომისიის მუშაობის მთელ პერიოდში უზრუნველყოს გამწვევი უბანი სამედიცინო ინსტრუმენტებითა და მედიკამენტებით სამხედრო განყოფილების მიერ წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

გამოყოს ექიმ-სპეციალისტები გამწვევი საექიმო კომისიის წევრებად, რომლებიც გაწვევის პერიოდში გაანთავისუფლოს ძირითადი სამუშაოსაგან, კომისიის წევრებს შეუნარჩუნოს თანამდებობრივი განაკვეთები;

გამწვევი კომისიის მუშაობის პერიოდში (სექტემბერი–ნოემბერი) გამოიყოს რაიონის საავადმყოფოში 12 საწოლი, წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევისათვის (თერაპიულ განყოფილებაში — 4' ქირურგიულ განყოფილებაში — 3, ყელ-ყურის — 2' თვალისა და ნევროლოგიურ განყოფილებაში — 3).

რაიონის სამხედრო კომისარიატის გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყოს წვევამდელთა გულ-მკერდის რენტგენოსკოპიული გამოკვლევა და საერთო ანალიზების გაკეთება ყველა გასაწვევ კონტინგენტზე.

სოფლებისა და ქალაქის საკრებულოებს დაევალა უზრუნველყონ გასაწვევი ახალგაზრდების ორგანიზებულად გამოცხადება გამწვევ პუნქტებში, როგორც სამედიცინო კომისიის, ასევე არმიაში გაგზავნის დღეებში, მოაწყონ საზეიმო გაცილებები.

დამტკიცდა რაიონის გამწვევი და წვევამდელთა ჯანმრთელობის შემმოწმებელი საექიმო კომისიების შემადგენლობა.

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში რაიონის სამხედრო კომისარიატს რაიონის ფონდიდან გამოეყოს საწვავი და მორიგეობით მიემაგროს რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტი, სამხედრო კომისარიატში და შემკრებ უბანზე წვევამდელთა გადასაყვანად.

ცნობად იქნეს მიღებული' რომ წვევამდელთა და რეზერვისტთა ორგანიზებულად შეტყობინებისათვის შექმნილია რაიონული სამობილიზაციო შტაბი, ხოლო ცალკეული საკრებულოების მიხედვით საინიციატივო ჯგუფები, რომელთა ხელმძღვანელებად დანიშნული არიან რაიონული შტაბის წევრები.

რაიონული გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციას დაევალა სისტემატურად გააშუქოს წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის მიმდინარეობა.

რაიონის სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ კანონით გათვალისწინებული ზომების განხორციელება იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს.

# მიტინგი არ იყო სანქცირებული

15 სექტემბერს ქალაქ ცაგერის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის წინ დღის 12 საათისათვის თავი მოიყარა ქალაქის მუშამოსამსახურეთა ერთმა ნაწილმა.

მიტინგი გახსნა სამეურნეოთაშორისო საკვებმოპოვების გაერთიანების ხელმძღვანელმა შალვა კვირკაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა რაიონის მშრომელთა სადღეისო მტკივნეულ საკითხებზე და მოითხოვა რაიონის ხელმძღვანელებისაგან მათი გამოსწორება.

მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ ყველა ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურად იყო დაყენებული რაიონული საკრებულოს საქტო დარბაზში გამართულ საინფორმაციო თათბირზე და შემდგომ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების შეკრებაზე, რამაც ასახვა ჰპოვა რაიონულ გაზეთში.

მიტინგზე [illegible] ახსნა-განმარტება რატომ არ გაიგზავნა დეპეშა რესპუბლიკის პარლამენტში სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან არ გადადგომის მოთხოვნით, რაზეც ნაწილობრივ გაეცა პასუხი.

გაირკვა — საქალაქო საკრებულოს გამგეობას და რაიონის სხვა ხელმძღვანელ ორგანოს მიტინგის ჩატარების ნებართვა არ გაუციათ. მიტინგში მონაწილეობდნენ რაიონული საკრებულოს ხელმძღვანელები, პარლამენტის წარმომადგენლები, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

**ლია ძოწენიძეს**
გილოცავ დაბადების დღეს. დაე' მარადის მდგარიყო ბედნიერების' სილამაზისა და სიძლიერის ოლიმპზე.
**თინიკო შკუბულიანი.**

**სოსო ნოდარის ძე ლიპარტელიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს.
**ნონა' ირმა კოპალიანები.**

**ლამზირა ონიანს' ემზარ ლიპარტელიანს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ნონა' ირმა კოპალიანები, ნატო ჩაკვეტაძე.**

**გულნარა ომანაძეს**
გილოცავთ ნუკრის უნივერსიტეტში ჩარიცხვას.
**უახლოესი ამხანაგები.**

**მამუკა კვირკაშვილს' ჭაბუკა ჭაბუკიანს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
**მარიკა' მამუკა კოპალიანები.**

**შორენა სილაგაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს' დაესწარით მრავალს.
**მარიკა, გოგი' გექა გენიძეები.**

**ნინო შკუბულიანს' მუხრან ლიპარტელიანს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

**ჩემო პატარა გვანცა!**
გილოცავთ ძამიკოს შეძენას.
**ნინიკო, ნუგზარი.**

**ნარგიზა ვახტანგ, რეზო გუგავებს**
გილოცავთ შვილიშვილის და დისშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**მაყვალა, ლემინო ლიპარტელიანები.**

**მელანო გოგიტას ასულ მურცხვალაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს.
**გოგიტა, ჯაბა, ნანული მურცხვალაძეები' ნინა კოპალიანი ნატო' მალხაზ, ვაჟა' ანა, მელანო სარხანიძეები, ნინო, გოჩა' ნატო' ლიკა ენდელაძეები.**

## გილოცავთ

**გულთამზე' ზურა გიორგობიანებს**
**მაკა' რეზო ასათიანებს**
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემლიერი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი
**ლეილა' მედიკო ნემსწვერიძეები, ლოლა ალავიძე, ციალა ონიანი' დომნა უგრეხელიძე, მანანა განძელაძე' ნონა, ნინო ასათიანები, მაკა' თამარ ქვარიანები.**

**სვეტა' ამირან ჭაბუკიანებს**
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ მარადიული სიყვარულით ლამაზი ოჯახის შექმნას.
**მაყვალა' თემურ კოპალიანები.**

**შორენა სილაგაძეს' მამუკა ჩხეტიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას და დიდხანს სიცოცხლეს.
**გოგუცა გენდელიანი' სერაპიონ, გოჩა ახვლედიანები ოჯახებით.**

**შორენა სილაგაძეს' მამუკა ჩხეტიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**ზაურ გენიძე' ალბერტ კოპალიანი ოჯახებით.**

**მთვარისა სილაგაძეს' თენგიზ ოურეშიძეს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ვალოდია დავითულიანი' ბახვა სალინაძე ოჯახებით.**

**ნინო ახვლედიანს ნუგზარ მახაროგლიძეს**
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ
**ვალოდია დავითულიანი' ბახვა სალინაძე ოჯახებით.**

**შორენა სილაგაძეს.**
**მამუკა ჩხეტიანს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ქეთინო ტვილდიანი.**

**იამზე გურჯალიანს.**
**ბადრი ლარცულიანს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ვაჟიანობაც მოგვ-ელოცოს.

* * *

**ნონა ყავლაშვილს**
**დათო ჩიქოვანს**
გილოცავთ ვაჟის შეძენას. იხარეთ და იმრავლეთ.
**ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი.**

შვილები რაფიელი, ლილი, გოგუცა, თალიკო, რძლები შუქურა ქარსელაძე, მანანა კუხალაშვილი, ნაირა ცხვედიანი, დები თინა, ზინა, სიძეები ჯუმბერ ახვლედიანი, შოთა ლეთოდიანი, სოზარ სვანიძე, შვილიშვილები თამაზი, რამაზი, ნონა კოპალიანები, ლონდა, მურთაზი, ლია, გია ახვლედიანები, მურადი, ნინო ლეთოდიანები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სონია იასონის ასული სალინაძე—კოპალიანი**

დაკრძალვა 23 სექტემბერს, ხუთშაბათს სოფ. ჭალისთავში.

---

ბიძაშვილები ჟორა, ბრიშა, თამარ, ლილი, ნორა ახვლედიანები, სიძე რუბენ ჩაკვეტაძე, ელგუჯა ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დალი ვიტალის ასული ახვლედიანი.**

---

და ზინა, დისშვილი მერი ხაბულიანი, ძმისშვილები ნორა, გრიგოლი, დალი, თინა, ვასო, ჯემალ, ბაჩვა იზოლდა სალინაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სონია სალინაძე—კოპალიანი**

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ზაირა იოსელიანს სიძის

**დავით ქაჯაიას**

გარდაცვალების გამო.

---

დავით კოპალიანი ოჯახით იუწყება

**ვიქტორ ქარსელაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეზობლები ბენური, ჯანიკო კვირკაშვილები, ავთო ჩიქოვანი, ჟუჟუნა ცვარიანი, ანდრო, ზაალ, გიზო, ომარ, მილერი კოპალიანები, რამაზ შკუბულიანი, გია დავითულიანი, როინ ლიპარტელიანი, რომან გვიდიანი, ომარ ჭაბუკიანი, ჯონდო, გულვერ, მამუკა, თამაზ, ხვიჩა, ვიქტორ სალინაძეები, იროდი ბენდელიანი თანაუგრძნობენ მურთაზ ლურჯუმალიძის ოჯახს ძმის

**დემურ ლურჯუმალიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ომარ გაგისონია, ბუხუტი მეშველიანი, დადაში გვიშიანი, რუბენ ხვადაგიანი, რუბენ გოგიძე, გოჩა ბენდელიანი, შოთა, ზურაბ ახვლედიანები, ნინა ნემსწვერიძე, ნინა ავთანდილ, თამაზ კოპალიანები, მურმან ხეცურიანი, ჯემალ მეგრელი, ვაჟა სალინაძე, ომარ გურჯალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გოგუცა შკუბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რუბენ ლაჩქეპიანი, ომარ გოგი, ბელა, ჭაბუკიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბაბუცა, ჟორა ახვლედიანების ოჯახს დის

**დალის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ელეონორა, იური, სიძე ჯემალ ცხვედიანი, რძალი მანანა ყურაშვილი, შვილიშვილები თამრიკო, გოგიტა ალუდა, მარიკა, მამუკა, ძმები ჭიჭიკო, გივი გორგასლიძეები, რძლები თინა, ნანი, მაცაცო, ძმისშვილები თამილა, რადმილა, რუსიკო, ძმისშვილიშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ვლადიმერის ასული გორგასლიძე—ჩხეტიანი**

დაკრძალვა 25 სექტემბერს, შაბათს, სოფ. კანაშში

---

სიძე მიშა ნემსწვერიძე, დისშვილები ნარგი, სოზარ, რძალი, ნატო ჭაბუკიანი, სიძე ემზარ წულუკიძე, ძმისშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგუცა ნიკოლოზის ასული შკუბულიანი.**

დაკრძალვა 25 სექტემბერს, შაბათს ქ. ცაგერში.

---

ვერა ირემაძე, დათო, სალინაძე თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**დადაში გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალვის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**თამარ ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები იაშა ფრუიძე, ნოდარ, რომან ახვლედიანები, ზაქრო სალინაძე, როლანდ ავალიანი, ამირან ჩანქსელიანი, შოთა, კახა, ტუკა ჩხეტიანები, ომარ ჩიქოვანი, ზაურ ყურაშვილი, ბეჟან ტვილდიანი, მამუკა სვანიძე, გოჩის ჭაბუკიანი, ცაცა ფანჯარაძე თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ჭიჭიკო პირველის**

გარდაცვალების გამო.

---

ავთო, კოკა, ომარ გვიშიანები, ცისნერ, ჯიმშერ მეშველიანები, ლოლა ახვლედიანი, თამაზ ლეთოდიანი, ჟორა შკუბულიანი, გურამ კოპალიანი, სოსო ფუტკარაძე, როსტომ მუშკუდიანი, კოსტა, ომარ სილაგაძეები, გიგო, ჯიმშერ ლიპარტელიანები, ასტერ გოგიძე, ომარ ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ გურამ ავთო ლიპარტელიანებს

**ნადია ნიკოლოზის ასული სალინაძე—ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაილაშის კავშირგაბმულობის განყოფილების და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შოთა მოწონელიძის ოჯახს მამის

**შალვას**

გარდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის IX კლასელები თანაუგრძნობენ დათო ქარსელაძეს ბაბუის

**ვიქტორ ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა გვიდიანი, ვალერი როდამი კვირკაშვილები, ვენედი ჭილვარია, ამირან, თორნიკე ჭიჭინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მზია რომან მეშველიანებს დედისა და სიდედრის

**ჟუჟუნას**

გარდაცვალების გამო.

---

# ხსოვნა

# დადაში გერასიმეს ძე გვიშიანი

დაუნდობელი აღმოჩნდა ჩვენთვის 1992 წლის 14 მაისი. ამ დღეს დაბნელდა შენი ოჯახის მზე, ორპირის კლდეებში დალიე სული. 25 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, 43 წლისა გახდებოდი. დაღონებული ვართ დადაში, უშენოდ. მოგვაკლდა შენი სითბო, შენი ალერსი და სიყვარული. ოჯ რა ძნელია უშენობა, წახვედი და წაიყოლე ჩვენი დატანჯული გულები და სითბო, სულ შენზე ვფიქრობთ, შენზე ვოცნებობთ.

რაც საშუალება გვაქვს, არ დაგაკლებთ არაფერს, სირცხვილი არაფერში გვიჭამია უშენოდ. ვფიცავთ შენს სულს, საფლავს, მაგრამ შვილებს ენატრები. ენატრებათ შენი მოფერება, თავზე ხელის გადასმა, თვალცრემლიანი გიგონებენ სულ. დედაშენი სულ ტირის, მაინც იმედი აქვს რომ დაბრუნდები, სულ გზისკენ გვაქვს თვალი, ვერ დაგვიჯერებია, რომ მართლაც წახვედი და აღარ მოხვალ. [illegible] ტვრაში იყავ, აწ შენი შვილიშვილი ფეხსაც აიდგამს და ბაბუასაც დაიძახებს, მაგრამ შენ არაფერი არ მოგესწრო. ჩვენო კეთილო დადაში, ღმერთს ვთხოვ შენი სული ნათელში იყოს. სანამ ვიცოცხლებთ, პატივს ვცემთ შენს საფლავს, შენს ხსოვნას, ვიამაყებთ შენით. ჩემო სანატრელო და საყვარელო დადაში.

ოჯახი.

---

მეუღლე ბაბუცა, შვილები ბიძინა, მაყვალა, რძალი მანანა, შვილიშვილები მაია, მაკა, გიორგი, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჭიჭიკო დავითის ძე პირველი**

დაკრძალვა 23 სექტემბერს, ხუთშაბათს ქ. ცაგერში

---

მიშა ყურაშვილი, ვახტანგ ასათიანი, რუბენ გოგიძე ზურაბ, მალხაზ ლიპარტელიანები, სერიოჟა ლურჯუმალიძე, რეზო სალინაძე, დათო, დადაში, ზაზა ჯონი დავითულიანები ოჯახებით იუწყებიან

**ჭიჭიკო პირველის**

გარდაცვალებას.

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა—ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯულიეტა ჩანქსელიანს რძლის გარდაცვალების გამო.

---

ნინა, ნოდარ, გურამ, ჯავლეთ ნემსაძეები, ნოდარ, ვახტანგ, რამაზ ავლედიანები, ზუქური ყუბუსიძე, მათიკო, კუჭიკო გუგავები, ზაურ მანაგაძე, გოდერძი ყურაშვილი, პაატა ხეცურიანი, ბიჭიკო გახსოლიანი, მირმან შკუბულიანი, დემურ ონიანი, ბორია მურცხვალაძე თანაუგრძნობენ გონდო, რუსიკო ჩანქსელიანებს დისა და მულის

**დენოლა ჩანქსელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ, გულვერ, რომან, ოლეგ ჯიბილო, ჯიმშერ გიორგობიანები, მერი, ბუხუტი, დალოსტი ხეცურიანები თანაუგრძნობენ ბრიშა ყურაშვილის ოჯახს

**ცაცას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სოფლმეურნეობის კომპლექსის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურმან მურცხვალაძეს და გოჩა ხაბულიანს დის და დეიდის

**ზინა მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ცაცა ახვლედიანი—ყურაშვილი**

---

რაისაავადმყოფო—პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცო, მურადი კოპალიანებს მამისა და სიმამრის

**ვიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ლუნა, ნანი, ციცინო, თამაზი, კარლო, და თო, ძმა სამსონი, რძლები პაშა, მერი, რუსუდან, ირმა, ნანა, ლონდა, ლარისა, დოდო, ეთერი, სიძეები ჟორა ლეთოდიანი, შამშე ქეცურიანი, მურად კოპალიანი, მირზა შველიძე, ბელა ხაბულიანი, შვილიშვილები თამრიკო, ნათია, ელისო, ელზა, ქეთი, მამია, სოსო, დათო, ირაკლი, ტატო, ნიკა, შვილთაშვილები თამთა, ნიკა, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძე.**

დაკრძალვა 26 სექტემბერს, კვირას სოფ. ჩხუტელში.

---

დავით, ეგნატე, ბუჩუ ზურაბიანები, ჟორა, როსტომ სალინაძეები, მამუკა ჭელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**დემურ ლურჯუმალიძის**

გარდაცვალების გამო.

---

№1 ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ მანანა და იური ჩხეტიანებს დედის

**თამარ ჩხეტიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სამეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუდვიგ ხეცურიანს სიძის

**კუჭიკო გოლეთიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან

**ვიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ამირან, გოგი კვირკაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვიქტორ ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მარგო სვანიძე, ასმათ დავითულიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვიქტორ ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვეტსამკურნალოს და ვეტლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იური ჩხეტიანს დედის

**თამარის**

გარდაცვალების გამო.

---

სამსონ, ჯონი, ოლეგ ქარსელაძეები, ბელა ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან

**ვიქტორ ნიკოლოზის ძე ქარსელაძის**

გარდაცვალებას.

---

დედა ოლღა, მეუღლე ნელი, შვილები ლევანი, შორენა, ლერი, ძმა მურთაზი და ლალი, რძალი აზა, ძმისშვილები დათო, ნატო, მამიდები ჟუჟუნა, დოდო, დეიდა თამარი, ბიძები ირაკლი ჯემალი, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დემურ არქიპოს ძე ლურჯუმალიძე.**

დაკრძალვა 23 სექტემბერს, ხუთშაბათს ქ. თბილისში. გამოსვენება მუხიანის დასახლება, I მიკრორაიონი, II კორპუსი მე—8 სადარბაზო, ბინა 143.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ ჯენი მანდჯრიას დეიდის

**ლანა მასხარაშვილი-ბეროძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაზა ყურაშვილი, თამაზ არდანიანი, თამაზ ჩაკვეტაძე, ლევან ბერიძე, ჯონი ხალიანი, ვახტანგ, ვაჟა სალინაძეები, გიგლა, რომან, დათო ლეთოდიანები, მერაბ, დათო გუგავები, მირზა ლიპარტელიანი, სოზარ კვირკაშვილი, შამილ ლარცულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ რაფიელ კოპალიანის ოჯახს

**სონა სალინაძე—კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიონის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამაზ ქარსელაძეს მამის

**ვიქტორ ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიონის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამაზ კოპალიანს ბებიის

**სონა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სერგო ცხვედიანი ოჯახით იუწყება

**თამარ გორგასლიძის**

გარდაცვალებას.

---

თამარ ტვილდიანი, ტატიანა ყურაშვილი, ლალი ფანჯარაძე თანაუგრძნობენ შუქურა, რაფიელ კოპალიანების ოჯახს

**სონას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის პროფესიულ—ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი თანაუგრძნობს მანანა, იური ჩხეტიანებს დედის

**თამარის**

გარდაცვალების გამო.